SQR · მომხმარებლის სახელმძღვანელო

მენიუ, POS, საწყობი და რეპორტები

რა თანმიმდევრობით შევიყვანოთ ინფორმაცია, რომ სისტემამ პირველივე დღიდან გამართულად იმუშაოს

ობიექტის მფლობელისა და მენეჯერისთვის

ვერსია 1.0 · ნოემბერი 2026

sqr.ge · info@sqr.ge · +995 592 45 75 02

სარჩევი

დასაწყისი

	როგორ ვიყენებთ ამ სახელმძღვანელოს	3
	დაწყების თანმიმდევრობა	3

თავები

1	რეგისტრაცია, შესვლა და პანელი	5
2	ობიექტის ინფორმაცია და სტუმრის ენები	6
3	მენიუ: კატეგორიები და პროდუქტები	7
4	QR მენიუ	9
5	რესტორნის მაგიდები და ოთახები	10
6	პერსონალი და როლები	11
7	POS-ის დაკავშირება მოწყობილობაზე	12
8	POS ყოველდღიურად	13
9	სტუმრის QR შეკვეთა	16
10	საწყობი	18
11	რეცეპტები და თვითღირებულება	21
12	„მთავარი“ და რეპორტები	22
13	SQR ანგარიში	23

დანართები

	როლები ერთ ცხრილში	23
	ხშირი შეცდომები	24
	ტერმინების ლექსიკონი	25
	ხშირი კითხვები	25
	კონტაქტი	26

როგორ ვიყენებთ ამ სახელმძღვანელოს

SQR სამი ნაწილისგან შედგება: **სამართავი პანელი** (`manager.sqr.ge` , აქ ავსებ მენიუს, მაგიდებს, პერსონალს, საწყობს და ხედავ რეპორტებს), **POS** (მიმტანის და მოლარის ეკრანი ტაბლეტზე ან კომპიუტერზე) და **QR მენიუ** (სტუმრის ტელეფონში, აპლიკაციის გარეშე).

ახალი ობიექტისთვის თავები წაიკითხე თანმიმდევრობით (1–13): ყოველი თავი წინაზეა დამოკიდებული. თუ სისტემა უკვე მუშაობს, გახსენი მხოლოდ საჭირო თავი.

- ღილაკები და მენიუს სახელები ბრჭყალებშია, ზუსტად ისე, როგორც ეკრანზე. ისარი („მენიუ → პროდუქტები“) ნიშნავს: ჯერ პირველს დააჭირე, მერე მეორეს. POS-ის ზოგი ღილაკი ინგლისურადაა (**SEND ORDER**, **PAY**, **VOID**).
- ციფრი წრეში (❶ ❷ ❸) აჩვენებს ადგილს ეკრანის სურათზე.
- სურათები გადაღებულია სასწავლო ობიექტში „დემო რესტორანი“: სახელები და თანხები გამოგონილია. ნაცრისფერი ხატულა „თქვენი ფოტო“ არის ადგილი შენი ფოტოსთვის.

> **მნიშვნელოვანია**
> ასე აღინიშნება ის, რის გამოტოვებაც სხვა ნაწილს აფუჭებს. ტიპური შეცდომები ერთად არის დანართში „ხშირი შეცდომები“.

დაწყების თანმიმდევრობა

ისარი ნიშნავს: „ეს ნაბიჯი წინაზეა დამოკიდებული“. ოთხი ზოლი: **QR მენიუ მზადაა → POS მზადაა → საწყობი და თვითღირებულება → სტუმრის შეკვეთა** (ბოლო სურვილისამებრ).

1 რეგისტრაცია + SMS კოდი

ყველაფერი იწყება აქედან.
ციფრები = ნაბიჯი ცხრილში „დაწყების თანმიმდევრობა“.

QR მენიუ პირველი დღე | **2–4** ლოგო, ენები,ობიექტის ინფო | **5** კატეგორიები | **6** პროდუქტებიფასი, ფოტო **7** მენიუს QR✓ მენიუ მზადაა

POS პირველი დღე | **8** მაგიდები(და ოთახები) | **9** პერსონალიროლი + PIN | **10** POS კოდიტაბლეტზე **11** SEND ORDER→ PAY ✓

საწყობი თვითღირებულება | **12** საწყობები(+13 მომწოდ.) | **14** ინგრედიენტები **15** მიღება ფასით→ გატარება | **16** აღწერა **17** რეცეპტები+ ჩამოწ. საწყობი

სტუმრის შეკვეთა სურვილისამებრ | **18** ჩართვაპარამეტრებში | **19** მაგიდის QR-ებიბეჭდვა **20** მიღება POS-შიზარი → PIN | **21** რეპორტებიდა ხარჯები

შემდეგი ნაბიჯი სჭირდება სხვა ზოლიდან შედეგი / მნიშვნელოვანი ნაბიჯი

#	რას აკეთებ	სად	თავი
1	რეგისტრაცია, SMS კოდი	**manager.sqr.ge** → „რეგისტრაცია“	1
2	ლოგო	ობიექტის სახელი (ზემოთ მარჯვნივ) → „ჩემი პროფილი“	1
3	სტუმრის ენები	„Guest App → Guest App-ის ენები“	2
4	ობიექტის ინფორმაცია	„Guest App → ინფორმაცია ობიექტზე“	2
5–6	კატეგორიები, მერე პროდუქტები	„მენიუ → კატეგორიები“, „მენიუ → პროდუქტები“	3
7	მენიუს QR	ზედა ზოლი → „QR კოდები“	4
8	მაგიდები (და ოთახები) — **მათ გარეშე POS-ში ჩეკი არ იხსნება**	„რესტორნის მაგიდები“	5
9	პერსონალი, როლი, PIN	„პერსონალი“	6
10	POS-ის დაკავშირება	ზედა ზოლი → „POS“ → „კოდის მიღება“	7
11	პირველი ჩეკი: **SEND ORDER → PAY**	POS	8
12–16	საწყობები → ინგრედიენტები → მიღება ფასით → აღწერა	„საწყობი“	10
17	რეცეპტები	„მენიუ → რეცეპტები“	11
18–20	სტუმრის შეკვეთის ჩართვა, მაგიდების QR, მიღება POS-ში	„პარამეტრები → სტუმრის შეკვეთები“	9
21	რეპორტები და ხარჯები	„რეპორტები“	12

> **მნიშვნელოვანია**
> პირველი დღისთვის საკმარისია ნაბიჯები 1–11. საწყობი (12–17) და სტუმრის შეკვეთა (18–20) შეიძლება მოგვიანებით დაამატო.


თავი 1


რეგისტრაცია, შესვლა და პანელი

რეგისტრაციით იქმნება ანგარიში და ობიექტი. წინასწარ გჭირდება ქართული მობილური ნომერი (SMS კოდისთვის) და ელფოსტა, რომელიც SQR-ში ჯერ არ არის.

რეგისტრაცია

1. გახსენი **manager.sqr.ge** → „რეგისტრაცია“.






2. შეავსე 1: „ობიექტის დასახელება (English)“ (ლათინურად: მისგან იქმნება მენიუს მისამართი), „ობიექტის დასახელება (ქართული)“, „ტელეფონის ნომერი“ 2, „ელ.ფოსტა“, „პაროლი“ (მინ. 6 სიმბოლო), „გაიმეორეთ პაროლი“ → „რეგისტრაცია“ 3.
3. „ტელეფონის დადასტურება“: ჩაწერე SMS-ის 6 ციფრი 4 → „კოდის დადასტურება“. კოდი მოქმედებს 10 წუთი; თუ არ მოვიდა, 60 წამის შემდეგ „კოდის ხელახლა გაგზავნა“ 5.
4. ჩანს „თქვენ წარმატებით გაიარეთ რეგისტრაცია“. შედი ელფოსტით და პაროლით.


> **მნიშვნელოვანია**
> ანგარიში იქმნება მხოლოდ სწორი SMS კოდის შემდეგ.

შესვლა: „ელ.ფოსტა“, „პაროლი“ → „შესვლა“. პაროლი თუ დაგავიწყდა: „დაგავიწყდათ პაროლი?“ → ელფოსტა → „აღდგენა“ („ერთჯერადი პაროლი გამოიგზავნა თქვენს ელ.ფოსტაზე“). ძველი პაროლი მაშინვე აღარ მუშაობს: შედი დროებითით და შეცვალე „ჩემი პროფილი“-ში.

პანელი




- **მარცხენა მენიუ** 1: „მთავარი“, „მენიუ“, „საწყობი“, „რეპორტები“, „პერსონალი“, „რესტორნის მაგიდები“, „Guest App“, „პარამეტრები“, „SQR ანგარიში“.
- **ზედა ზოლი** 2: „QR კოდები“ (თავი 4), „POS“ (თავი 7), ენა, მარჯვნივ ობიექტის სახელი.
- **„მთავარი“** 3 4: დღის ან პერიოდის მაჩვენებლები (თავი 12).
- ნაცრისფერი პუნქტი ბოქლომით შენს პაკეტში არ შედის: ჩასართავად დაგვიკავშირდი (მონაცემები არ იშლება).



ჩემი პროფილი და ლოგო

ობიექტის სახელი (ზემოთ მარჯვნივ) → „ჩემი პროფილი“.



- **სურათი** 1 — ობიექტის ლოგო (JPG, PNG, GIF, WEBP, მაქს. 5 MB). **ის QR მენიუში ლოგოდ ჩანს.**
- იცვლება დასახელებები და ტელეფონი; „ელ.ფოსტა“ მხოლოდ ჩანს. პაროლი 2: „ძველი პაროლი“, „ახალი პაროლი“, „გაიმეორეთ პაროლი“ → „შენახვა“.


თავი 2

ობიექტის ინფორმაცია და სტუმრის ენები

აქ ავსებ, რასაც სტუმარი QR მენიუში ხედავს ღილაკით „ობიექტის ინფორმაცია“, და ირჩევ მენიუს ენებს. (Guest App = QR მენიუ სტუმრის ტელეფონში.)

Guest App-ის ენები

„Guest App“ → „Guest App-ის ენები“.




1. „ენის ჩართვა“ (1) — მონიშნე ენები (ქართული, English, Русский).
2. „ძირითადი ენა“ (2) — ამ ენაზე იხსნება მენიუ → „შენახვა“.


> **მნიშვნელოვანია**
> ახალ ობიექტში არცერთი ენა არ არის მონიშნული: ეს ნაბიჯი აუცილებლად გაიარე. კატეგორიისა და პროდუქტის ფორმაში ენის ჩანართები (KA, EN, RU) ყოველთვის სამივე ჩანს: შეავსე მხოლოდ ჩართული ენები.

ინფორმაცია ობიექტზე

„Guest App“ → „ინფორმაცია ობიექტზე“. მარცხნივ „სექციები“ (1); თითო სექციას თავისი შენახვის ღილაკი აქვს. „Guest App-ში ნახვა“ გაჩვენებს სტუმრის ხედს.



1. **„ძირითადი ინფორმაცია“**: ენის ჩანართებში (2) „ობიექტის დასახელება“, „მოკლე აღწერა“ (*), სურვილისამებრ „სრული აღწერა“; „ობიექტის ტიპი“ → „ცვლილებების შენახვა“ (3).
2. **„ფოტოები და გალერეა“**: „ფოტოების არჩევა“ (1) → „ფოტოების ატვირთვა“ (JPG, PNG, WEBP, თითო მაქს. 8 MB; ერთ ჯერზე 10, სულ 15). მთავარი ფოტოს შესაცვლელად: „მთავარ ფოტოდ დაყენება“ (2); ასევე „დამალვა“, „წაშლა“.



3. **„სამუშაო საათები“**: პირველ დღეს „ღიაა“, „გახსნა“, „დახურვა“ → „ყველა დღეზე გადატანა“ → „სამუშაო საათების შენახვა“. საჭიროებისას „24 საათი“ ან „მეორე ინტერვალის დამატება“.
4. **„კონტაქტი და ლოკაცია“**: ტელეფონები, „WhatsApp ნომერი“, „ელფოსტა“, „ქალაქი / დასახლება“, „სრული მისამართი“, „Google Maps-ის ბმული“ → „კონტაქტისა და ლოკაციის შენახვა“.
5. **„სოციალური ქსელები“**: მხოლოდ ის ბმულები, რაც გაქვს → „სოციალური ბმულების შენახვა“.

თავი 3

მენიუ: კატეგორიები და პროდუქტები


მენიუ ერთხელ შეგყავს და ის ჩანს **QR მენიუშიც** და **POS-შიც**. კატეგორია ჯგუფია (მაგ. „ცხელი კერძები“), პროდუქტი — კერძი ან სასმელი ფასით.


მნიშვნელოვანია

ჯერ კატეგორიები, მერე პროდუქტები. კატეგორიის გარეშე პროდუქტი QR მენიუში **არ ჩანს** (ველი არასავალდებულოა, ამიტომ ადვილი გამოსატოვებელია).

კატეგორია

„მენიუ“ → „კატეგორიები“ → „დამატება“ 1.






1. ენის ჩანართებში 3 (KA, EN, RU) „დასახელება“.
2. „ატვირთეთ სურათი“ 4 — შენი ფოტო (მენიუ უფრო მიმზიდველი იქნება).
3. სურვილისამებრ „კატეგორიის იკონი“ 5, „კატეგორიის ფერი“ და „გამოსახვის სტილი“ 6 („მხოლოდ სურათი“, „სურათი და იკონი“, „მხოლოდ იკონი“) → „შენახვა“.
4. თანმიმდევრობა: სიაში გადაათრიე სახელურით 2 („კატეგორიების თანმიმდევრობა განახლდა.“). იგივე რიგი ჩანს QR მენიუშიც და POS-შიც.


პროდუქტი

„მენიუ“ → „პროდუქტები“ → „დამატება“.



1. „კატეგორია“ 1, „ფასი“ 2 (ლარში, მაგ. 18.50).
2. ნიშნები 3 (არასავალდებულო): „შეფის რეკომენდაცია“, „დღევანდელი სპეციალური შეთავაზება“, „ლიმიტირებული პროდუქცია“. QR მენიუში ჩანს ცალკე ზოლებად.
3. „ფასდაკლება (%)“ 4 (1–99): QR მენიუში ძველი ფასი გადახაზულია („10% OFF“), POS-ში ფასდაკლებული ფასი იწერება. „მომზადების დრო“ — წუთებში.
4. ენის ჩანართებში 5 „დასახელება“ და „პროდუქტის აღწერა“.
5. „ატვირთეთ სურათი“ 6 (JPG, PNG, GIF, მაქს. 2 MB): **ატვირთეთ თქვენი ფოტო. მენიუ უფრო მიმზიდველი იქნება.** → „შენახვა“.

პროდუქტების სია




- 1 ძებნა, „ყველა კატეგორია“, დალაგება → „ძებნა“.
- 2 „სტატუსი“ — გადამრთველი. გათიშული პროდუქტი არ ჩანს **არც QR მენიუში, არც POS-ში**: ასე მოხსნი ამოწურულ კერძს წაშლის გარეშე.
- 3 „Bulk მოქმედება“ — მონიშნულ პროდუქტებზე: „ჩართვა“, „გათიშვა“, დღის შეთავაზების/შეფის რეკომენდაციის მონიშვნა ან მოხსნა, „წაშლა“ → „შესრულება“.
- „მოქმედებები“ → „რედაქტირება“ ან „წაშლა“.

თავი 4

QR მენიუ

მენიუს QR **ერთი საერთო კოდია**: სტუმარი ტელეფონით ათვალიერებს მენიუს. მაგიდიდან შეკვეთისთვის საჭიროა თითო მაგიდის QR (თავები 5, 9).


1 ზედა ზოლი → „QR კოდები“ („მენიუს QR კოდი“).



2 „PNG გადმოწერა (ბეჭდვისთვის)“ 1 — დასაბეჭდად; „SVG“ 2 — დიზაინერისთვის; „დააკოპირე ლინკი“ 3 — Instagram-ისთვის ან Google Maps-ისთვის; „გახსენი სტუმრის გვერდი“ — სტუმრის ხედი.

3 დაბეჭდე და დადე მაგიდებზე. დაბეჭდვამდე შეამოწმე ტელეფონით.

რას ხედავს სტუმარი



- 1 ლოგო („ჩემი პროფილი“-ს სურათი), 2 ენა, 3 „ობიექტის ინფორმაცია“, ძებნა „მოძებნე კერძი...“, ზოლები „დღის შეთავაზება“ და „შეფის რეკომენდაცია“, „კატეგორიები“.
- კატეგორიაში პროდუქტები ფასით 4; ფასდაკლებისას „10% OFF“.
- საერთო QR-ით კალათა მხოლოდ სიაა („შენი შეკვეთა“, „სულ“): **გაგზავნის ღილაკი არ არის**, სტუმარი შეკვეთას მიმტანს ეუბნება.


თავი 5

რესტორნის მაგიდები და ოთახები

POS-ში ჩეკი მაგიდაზე (ან ოთახზე) იხსნება, ამიტომ **მაგიდების გარეშე POS არ მუშაობს** („აქტიური მაგიდები ვერ მოიძებნა...“). აქ ხატავ დარბაზის გეგმას, რომელსაც მიმტანი POS-ში ხედავს.

მაგიდა

„რესტორნის მაგიდები“: მარცხნივ „სივრცის გეგმა“, მარჯვნივ „ახალი მაგიდა“.




1. ფორმა 1: „მრგვალი“, „კვადრატული“ ან „მართკუთხა“.
2. დააჭირე ბადის ცარიელ უჯრას 2 („ბადის სვეტი“ და „ბადის მწკრივი“ თავისით ჩაიწერება).
3. ფორმაში 3: „სიგანე“ და „სიმაღლე“ (**მრგვალს და კვადრატულს ტოლი, მაგ. 6 და 6, თორემ არ დაემატება**), „მაგიდის სახელი“ (ასე ჩანს POS-ში), „კოდი“ (ლათინურად, მაგ. `T1`), „ადგილების რაოდენობა“ → „მაგიდის დამატება“.
4. გადაათრიე მაგიდები და დააჭირე „განლაგების შენახვა“ 4 („მაგიდების განლაგება შენახულია.“). შენახვის გარეშე POS-ში ძველი განლაგება დარჩება.

ოთახები (სასტუმრო)

ოთახები გეგმაზე არ იხატება; POS-ში ჩნდება ჩანართი „ოთახები“.

- ერთი: „ახალი ოთახი“ → „ოთახის სახელი“, „კოდი“, „ადგილების რაოდენობა“, „სართული / ზონა“ → „ოთახის დამატება“.
- ბევრი: „ოთახების დამატება დიაპაზონით“ → „ნომრიდან“, „ნომრამდე“ (ერთ ჯერზე მაქს. 200), „სახელი ნომრის წინ“, „სართული / ზონა“ → „ოთახების დამატება“ („დაემატა 3 ოთახი.“).
- წაშლა: „ოთახების წაშლა დიაპაზონით“. ღია ჩეკიანი ოთახი არ იშლება; ძველი რეპორტები რჩება.

მაგიდების და ოთახების QR



- „ჩვენება“ 1: „ყველა“, „მხოლოდ მაგიდები“, „მხოლოდ ოთახები“; „QR-ის ნახვა“ 2.
- „QR-ის განახლება“ 3 — ახალი კოდი; **ძველი დაბეჭდილი კოდი მაშინვე წყვეტს მუშაობას** („ყველა QR-ის განახლება“ — ყველაზე ერთად).
- „QR-ების ბეჭდვა“ 4 → „ბეჭდვა“ → A4. თითო ბარათი დადე თავის მაგიდაზე.

> **მნიშვნელოვანია**
> ეს კოდები შეკვეთას მხოლოდ მაშინ აგზავნის, როცა სტუმრის შეკვეთა ჩართულია (თავი 9).

თავი 6


პერსონალი და როლები

თანამშრომელს აქვს **როლი** (რა შეუძლია POS-ში) და **PIN** (4 ციფრი POS-ში შესასვლელად). ყველა მოქმედება მისი სახელით იწერება. როლების სრული ცხრილი სახელმძღვანელოს ბოლოსაა.

როლი	POS-ში
მიმტანი	ჩეკი, **SEND ORDER**, „სტუმრები“, გადახდა საკუთარ ჩეკზე
მოლარე	+ გადატანა, გაერთიანება, გაყოფა, სხვისი ჩეკის გადახდა
მენეჯერი	ყველაფერი, მათ შორის **VOID**, ფასდაკლების დადასტურება, „მიმტანის შეცვლა“

დამატება

„პერსონალი“ → „თანამშრომლის დამატება“ 1.






1 „სახელი“ (სავალდებულო), სურვილისამებრ „გვარი“, „ელფოსტა“, „ტელეფონი“.

2 „როლი“ 4 და „ოთხნიშნა PIN“ 5 (ობიექტში უნიკალური) → „დამატება“. PIN პირადად გადაეცი.

სიაში ჩანს როლი 2 და სტატუსი 3 („აქტიური“); ზემოთ ძებნა და ფილტრი „წვდომა“.

მართვა

დააჭირე თანამშრომლის ხაზს („მართვა“):





- „მონაცემები და როლი“ → „შენახვა“; „PIN-ის ნახვა“ 1 (ჩანს 20 წამი); „PIN-ის შეცვლა“ 2 (POS-ში ხელახლა შესვლა დასჭირდება).
- „გათიშვა“ 3 — POS-ში ვეღარ შევა, ისტორია რჩება. „თანამშრომლის წაშლა“ 4 — ჯერ მონიშნე „ვადასტურებ...“.

თავი 7

POS-ის დაკავშირება მოწყობილობაზე

POS ბრაუზერში მუშაობს (ტაბლეტი, კომპიუტერი, ტელეფონი). მოწყობილობას ერთხელ აკავშირებ ობიექტთან, შემდეგ თანამშრომლები მხოლოდ PIN-ით შედიან. კოდს იღებს მხოლოდ **მფლობელი ან მენეჯერი** პანელიდან.






1. **პანელში**: ზედა ზოლი → „POS“ („SQR POS აპი“).
2. **მოწყობილობაზე**: დაასკანერე QR ან გახსენი **manager.sqr.ge/pos/start** 1.
3. **პანელში**: „კოდის მიღება“ 2 → 6-ციფრიანი კოდი 3 („მოქმედებს კიდევ 9:59 · მხოლოდ ერთ მოწყობილობაზე“).
4. **მოწყობილობაზე** („ტერმინალის დაკავშირება“): სურვილისამებრ „მოწყობილობის სახელი“ 4, მერე ციფრებით 6 აკრიფე კოდი 5. მე-6 ციფრზე თავისით უკავშირდება და ითხოვს PIN-ს.

> **მნიშვნელოვანია**
> ერთი კოდი = ერთი მოწყობილობა (მეორესთვის „ახალი კოდი“). კოდი 10 წუთი მოქმედებს. დაუკავშირებელი მოწყობილობა ელფოსტას და პაროლს ითხოვს: თანამშრომლებს პაროლს ნუ მისცემ, დააკავშირე კოდით.

აპად დაყენება: iPad/iPhone (Safari) — „გაზიარება“ → „Add to Home Screen“; Android (Chrome) — ღილაკი „SQR POS აპის დაყენება“ (თუ ჩანს).

მოწყობილობები: „პერსონალი“ → „POS მოწყობილობები“ (ან „POS“ → „ტერმინალების მართვა“): სიაში 1 ჩანს მოწყობილობები; „გათიშვა“ 2 — მაგ. დაკარგული ტაბლეტისთვის.




თავი 8


POS ყოველდღიურად

მიმტანის, მოლარის და მენეჯერის ყოველდღიური სამუშაო. ყველაფერი მაშინვე ჩანს პანელის „მთავარი“-ში და რეპორტებში.

შესვლა


აკრიფე 4-ციფრიანი PIN 1 („შესვლა ავტომატურად შესრულდება“). სხვა თანამშრომლისთვის: ზემოთ შენი სახელი („… · თანამშრომლის შეცვლა“). ბევრი ცდის შემდეგ POS დროებით ბლოკავს: „ცდების ლიმიტი ამოიწურა. სცადე 1 წუთში.“






ჩეკი და შეკვეთა

1. რუკაზე ან სიაში თითო მაგიდას აწერია 2 „თავისუფალია“ ან 3 „დაკავებულია“; ზემოთ ჩანართები „მაგიდები“ / „ოთახები“ 4. დააჭირე მაგიდას.
2. აირჩიე კატეგორია 1 ან „პროდუქტის ძებნა...“ 2, მერე პროდუქტი: ის ემატება „ახალი პროდუქტები“-ს სიას 3; რაოდენობა „−“ / „+“ 4.






3. დააჭირე **SEND ORDER** 5 („შეკვეთა გაიგზავნა ✓“). ჩეკში მიუთითე „სტუმრები“ (− / +).
4. დამატებითი კერძისთვის იგივე: ყოველი გაგზავნა ცალკე ჩანს („Send #...“).

> **მნიშვნელოვანია**
> **SEND ORDER**-მდე კერძი ჩეკში **არ არის** ჩაწერილი.


გადახდა



1. ჩეკის ბოლოს „ჩეკის ჯამი“, „გადახდილი“, „დარჩენილი“ → **PAY · ... GEL**.
2. „გადახდის მეთოდი“ 1: „ნაღდი“, „ბარათი“, „ბანკი“, „ონლაინ“, „სხვა“ („ბანკი“ და „ონლაინ“ მხოლოდ აღრიცხვაა).

3 „სრული თანხა“ 2 ან ნაწილი; ზემოთ „დარჩენილი გადასახდელი“ 3 → „გადახდა … GEL“. ნაწილობრივისას დანარჩენი ხელახლა **PAY**-ით (სხვა მეთოდითაც). სრულზე: „…ჩეკი სრულად გადახდილია და დაიხურა.“


გადატანა, გაერთიანება, გაყოფა




- „მაგიდის გადატანა“ 1 → „აირჩიე ახალი მაგიდა“: თავისუფალზე „გადატანის დადასტურება“; „დაკავებულია · გაერთიანება“-ზე ჩეკები ერთიანდება („გაერთიანების დადასტურება“).
- „ჩეკის გაყოფა“ 2 → „აირჩიე პროდუქტები და რაოდენობა“ → „აირჩიე დანიშნულების მაგიდა“ → „გაყოფის დადასტურება“.
- „მიმტანის შეცვლა“ 3 (მენეჯერი) — ჩეკი სხვა მიმტანს გადაეცემა.

> **მნიშვნელოვანია**
> ფასდაკლებიანი ჩეკი არ იყოფა და არ ერთიანდება (ჯერ მოხსენი ფასდაკლება); რეცეპტიანი კერძი მხოლოდ სრული რაოდენობით გადადის.

VOID და ფასდაკლება





- **VOID** (მხოლოდ მენეჯერი): გაგზავნილ პროდუქტზე **VOID** → „გასაუქმებელი რაოდენობა“, „მიზეზი“ 1, „მარაგი“ 2 (რეცეპტიან კერძზე: „მარაგში დაბრუნება…“ ან „დანაკარგი…“) → „VOID დადასტურება“. ჩეკში რჩება „VOID 1 · <მიზეზი>“, ჯამი მცირდება.
- „ფასდაკლება“: 5–20% ან საკუთარი (% ან ₾), „მიზეზი“ 3, „მენეჯერის PIN“ 4 → „დადასტურება“ (მაგ. „ფასდაკლება: −5.30 ₾ (10%)“).

ოთახები



ჩანართი „ოთახები“: სიაში ჩანს მხოლოდ აქტიური ოთახები **2**; სხვისთვის ჩაწერე ნომერი **1** → „→“. ოთახის ჩეკზე დამატება ნებისმიერ მიმტანს შეუძლია.

> **მნიშვნელოვანია**
> სხვის ჩეკზე წერია „ამ ჩეკს ემსახურება ...“. ნაცრისფერი ღილაკი = როლს ეს მოქმედება არ აქვს („ამ მოქმედების უფლება არ გაქვს...“).

თავი 9

სტუმრის QR შეკვეთა

სტუმარი მაგიდის QR-ით აგზავნის შეკვეთას, ის **ჯერ მიმტანთან** მიდის; მხოლოდ მიმტანის **SEND ORDER**-ის შემდეგ ჩაიწერება ჩეკში. გადახდა ადგილზეა. ფუნქცია **თავიდან გამორთულია**; სჭირდება QR მენიუც და POS-იც.


სტუმარი ტელეფონი | მაგიდის QR(არა საერთო QR) | კალათა+ შენიშვნა „შეკვეთის გაგზავნა“ფასი ფიქსირდება | სტატუსი„მიღებულია, მზადდება“

მიმტანი POS | ზარის ღილაკი„გახსნა“ + PIN SEND ORDERან „რედაქტირება“ | „უარყოფა“მიზეზით

ჩეკი და რეპორტები | ვადა გავიდა„ვადა (წუთი)“ | ჩეკში ჩაიწერა→ PAY ადგილზე | რეპორტი„QR შეკვეთები“ თუ მიმტანმა დროზე არ გახსნა, შეკვეთა ვადაგასული ხდება.

ჩართვა


„პარამეტრები“ → „სტუმრის შეკვეთები“.



1. მონიშნე „სტუმრის შეკვეთების მიღება“ 1.
2. „QR-ის რეჟიმი“ 2: **„QR თითო მაგიდაზე / ოთახზე (რეკომენდებული)“**.
3. სასტუმრო: „ოთახებიდან შეკვეთის მიღება“ 3 (გამორთულზე ოთახის სტუმარი ხედავს „შეკვეთები დროებით არ მიიღება...“).
4. „ლიმიტები და ვადა“ 4 — შეგიძლია ნაგულისხმევი დატოვო („ვადა (წუთი)“ 15, პოზიციები 30 ...).
5. „როგორ აღწევს შეკვეთა სამზარეულოში“ 5: „ზეპირად (მიმტანი გადასცემს)“ ან „სხვა“ → „შენახვა“ („პარამეტრები შენახულია.“).
6. დაბეჭდე მაგიდების QR-ები (თავი 5). საერთო მენიუს QR-ით შეკვეთა არ იგზავნება.


დროებით შესაჩერებლად მოხსენი „სტუმრის შეკვეთების მიღება“.


სტუმარი



1. კალათა 1 → „შეკვეთის გაგზავნა“ 2 → „შეკვეთის დადასტურება“: „შენიშვნა მიმტანისთვის“ 3 → „გაგზავნა: მაგიდა ...“ 4.
2. სტატუსი: „გაგზავნილია — ელოდება მიმტანს“ → „მიღებულია, მზადდება“; მანამდე შეუძლია „შეკვეთის გაუქმება“. მენიუს თავში: „მიმტანის გამოძახება“, „ანგარიშის მოთხოვნა“.

მიმტანი POS-ში





1. ზედა ზოლში ღილაკი „სტუმრის შეკვეთები“ (ზარის ხატულით) რიცხვით; ხმისთვის „ხმის ჩართვა“. სიაში შეკვეთა → „გახსნა“ → შენი PIN.
2. შეამოწმე პოზიციები, „სტუმრის შენიშვნა“, ჯამი და სად ჩაიწერება („ახალი ჩეკი“ ან „დაემატება ჩეკს #...“). აირჩიე:
   - **SEND ORDER** 1 — ჩეკში ჩაიწერება („✓ გაიგზავნა · ჩეკი #... · სამზარეულოს ზეპირად აცნობე“);
   - „რედაქტირება“ 2 — რაოდენობის შემცირება „–“ → „შენახვა“ (ჩანს, მაგ. „(2 → 1)“);
   - „უარყოფა“ 3 — მიზეზი 4, სურვილისამებრ „კომენტარი სტუმრისთვის“ → „უარყოფა“ 5.
3. გამოძახებები („მაგიდა 3 — იძახებს მიმტანს“) იმავე ფანჯარაშია → „მივედი“.

> **მნიშვნელოვანია**
> ფასი ფიქსირდება სტუმრის გაგზავნისას. თუ მერე შეიცვალა, მიმტანი ხედავს „ფასი შეიცვალა (ახლა ...). ჩეკში წავა სტუმრის ფასი.“

თავი 10


საწყობი


საწყობი აჩვენებს, რა გაქვს მარაგში და რა ღირს. როცა კერძს რეცეპტი აქვს (თავი 11), **SEND ORDER**-ისას ინგრედიენტები მარაგს თავისით აკლდება და ითვლება თვითღირებულება.

ერთხელ: მარაგის მომზადება	საწყობებიმის გარეშე მიღება არა	ინგრედიენტებისაბაზო ერთეული მიღება ფასით„მარაგში გატარება“	ნაშთი+ საშუალო ფასი	რეცეპტი+ ჩამოწერის საწყობი
ყოველდღე: გაყიდვა	POSSEND ORDER	„გაყიდვის ჩამოწერა“„მოძრაობებში“	ნაშთი მცირდებარეცეპტის მიხედვით	თვითღირებულებასაშუალო ფასით მოგება„მოგება და ხარჯები“
საჭიროებისას (გაფუჭება, ვადა)	აღწერა / ინვენტარიზაცია„ინვენტარიზაციის სხვაობა“	ჩამოწერები„დანაკარგი“	POS: VOID → „მარაგში დაბრუნება“ ან „დანაკარგი“გაგზავნილი კერძის გაუქმება	

მნიშვნელოვანია
თანმიმდევრობა: **საწყობები → (მომწოდებლები) → ინგრედიენტები → მიღება ფასით → აღწერა**. საზომი ერთეულები (kg, g, l, ml, pcs) მზაა; „საწყობი → საზომი ერთეულები“-ში მხოლოდ ჩანს და აქვე არის „ერთეულების გადაყვანა“ (მაგ. „1500 g = 1.5 kg“).


საწყობები და მომწოდებლები





- „საწყობი“ → „საწყობები“ → „საწყობის დამატება“: „დასახელება“ 1, „საწყობის კოდი“ 2 (მაგ. `MAIN`, `BAR`) → „დამატება“. **ახალ ობიექტს საწყობი არ აქვს: შექმენი მინიმუმ ერთი.** ნაშთიანი საწყობი ვერ გაითიშება.
- „საწყობი“ → „მომწოდებლები“ → „მომწოდებლის დამატება“ 3 (არასავალდებულო): სავალდებულოა მხოლოდ „დასახელება“ 4 → „შენახვა“.


ინგრედიენტები



„საწყობი“ → „ინგრედიენტები“ („მარაგის პოზიციის დამატება“): „დასახელება“, „ტიპი“ 1, „საბაზო ერთეული“ 2 (ფქვილი — კგ, ზეთი — ლ, ბოთლი — ცალი; **შემდეგ აღარ იცვლება**), სურვილისამებრ SKU და შტრიხკოდი, „მინიმალური ნაშთი“ 3 → „დამატება“.

მნიშვნელოვანია
ინგრედიენტის შექმნა მარაგს **არ ამატებს**: ნაშთი ჩნდება მიღების ან აღწერის შემდეგ.


მიღება (შესყიდვა)



1. „საწყობი“ → „შესყიდვები“ → „ახალი მიღება“: „საწყობი *“ 1, „მიღების თარიღი *“, სურვილისამებრ „მომწოდებელი“ და „დოკუმენტის ნომერი“.
2. ხაზები: პოზიცია, „ერთეული“, „რაოდენობა“ და ფასი 3 — **ან** „ერთეულის ფასი (GEL)“, **ან** „სრული ღირებულება (GEL)“ (მეორე თავისით ითვლება). შემდეგი ხაზი: „+ პოზიციის დამატება“.
3. „მონახაზის შენახვა“ (მარაგს ჯერ არ ცვლის) → „მარაგში გატარება · … GEL“ → დაადასტურე. ჩანს „მიღება გატარებულია — ნაშთი და საშუალო თვითღირებულება განახლდა.“ გატარებული დოკუმენტი აღარ იცვლება.

> **რჩევა**
> **საწყისი ნაშთი** შეიყვანე **მიღებით, ფასით**: აღწერა ნაშთს ასწორებს, მაგრამ ახალ ინგრედიენტს ფასს არ ანიჭებს (ფასი 0 = თვითღირებულება 0).


აღწერა (ინვენტარიზაცია)



1. „საწყობი“ → „აღწერა / ინვენტარიზაცია“ → „ახალი აღწერა“ → „საწყობი“ → „აღწერის დაწყება“.
2. ჩაწერე ფაქტობრივი რაოდენობა 1 → „რაოდენობების შენახვა“.
3. „აღწერის დადასტურება“ (გაფრთხილების შემდეგ ისევ „აღწერის დადასტურება“). მხოლოდ ახლა იცვლება მარაგი; „მონახაზის გაუქმება“ — თუ შეცდი.

> **მნიშვნელოვანია**
> ცარიელი ველი 2 („არ დათვლილა“) მარაგს არ ცვლის; **0** ნიშნავს „მარაგი ნულია“.

ჩამოწერა, ნაშთები, მოძრაობები



- „ჩამოწერები“ → „ახალი ჩამოწერა“: „საწყობი *“, „თარიღი *“, „მიზეზი *“ 1 („ვადაგასული“, „გაფუჭებული“...), „შენიშვნა *“, პროდუქტი და რაოდენობა („ღირებულება“ 2 საშუალო ფასით) → „ჩამოწერა და შენახვა“. შეცდომისას: „წაშლა და საწყობში დაბრუნება“.
- „ნაშთები“ — ნაშთი საწყობის ან პოზიციის მიხედვით. „მოძრაობები“ — ჟურნალი: „მიღება“, „გაყიდვის ჩამოწერა“, „გაყიდვის უკუგატარება“, „დანაკარგი“, „ინვენტარიზაციის სხვაობა“.


თავი 11

რეცეპტები და თვითღირებულება

რეცეპტი ეუბნება სისტემას, რა შედის ერთ პორციაში: ითვლება **პორციის თვითღირებულება** და გაყიდვისას ინგრედიენტები მარაგს აკლდება. **ნახევარფაბრიკატი** — მზა ნაწილი (სოუსი, ცომი), რომელსაც ბევრ კერძში იყენებ. წინასწარ: კერძი მენიუში, ინგრედიენტები ფასით (მიღებით) და საწყობი.

კერძის რეცეპტი

„მენიუ“ → „რეცეპტები“ („რეცეპტები და კალკულაცია“) → კერძზე „რეცეპტის დამატება“ (ან „გახსნა“).



1. „გამოსავალი — რამდენ პორციას ვიღებთ? *“ 1 — ჩვეულებრივ 1.
2. ინგრედიენტის ხაზები 2: ინგრედიენტი, „რაოდენობა“, „ერთეული“ (+ „+ ინგრედიენტის დამატება“).
3. „დამატებითი დანაკარგი %“ 3 (არასავალდებულო): 1 კგ + 10% = 1.1 კგ.
4. „ჩამოწერის საწყობი *“ 4 (ერთი საწყობისას თავისით ირჩევა) → „შენახვა“.

ქვემოთ 5 ჩანს პორციის თვითღირებულება და წილი მენიუს ფასში (მაგ. ხაჭაპური: 18.50 ₾, თვითღირებულება 5.62 ₾, 30.4%). სიაში რეცეპტის გარეშე კერძს აწერია „შესავსებია“. თუ ინგრედიენტს ფასი 0 აქვს, ჩანს: „ზოგიერთ ინგრედიენტს საშუალო ფასი 0 აქვს...“

ნახევარფაბრიკატი

„რეცეპტები“ → „ნახევარფაბრიკატები“ → „ახალი ნახევარფაბრიკატი“: „დასახელება *“, „რამდენს ვიღებთ ამ რეცეპტით? *“ და „ერთეული *“ (მაგ. 2 კგ ცომი), ინგრედიენტები → „შენახვა“. კერძის რეცეპტში ის ჩანს მიწერით „(ნახევარფაბრიკატი)“; გაყიდვისას ჩამოიწერება მისი ნედლი ინგრედიენტები.

თავი 12


„მთავარი“ და რეპორტები

„მთავარი“ დღის სურათია, „რეპორტები“ — დეტალები ნებისმიერი პერიოდისთვის. გაყიდვად ითვლება მხოლოდ **დახურული** ჩეკი; მოგება სრულად ჩანს რეცეპტიან კერძებზე.

„მთავარი“


„პერიოდი“ („დღეს“, „გუშინ“, „ეს კვირა“, „ბოლო 7 დღე“, „ეს თვე“, „წინა თვე“, „ბოლო 30 დღე“, „ეს წელი“ ან კალენდარი), მაჩვენებლები („ჩარიცხული გადახდები“, „შეკვეთები“, „საშუალო ჩეკი“, „სტუმრები“), გრაფიკი, „TOP პროდუქტები“, „ბოლო შეკვეთები“ („დეტალები“). სურათი — თავი 1.


ფილტრები



ჩანართები: „გაყიდვების შეჯამება“, „გადახდები“, „მიმტანების მიხედვით“, „QR შეკვეთები“, „მოგება და ხარჯები“. „პერიოდი“ 1 (ან „ხელით (დან–მდე)“, თბილისის დრო), „შედარება“ 2, დამატებითი ფილტრები → „გამოყენება“ / „გასუფთავება“. ზემოთ მარჯვნივ „ექსპორტი CSV“ (Excel-ისთვის) და „ბეჭდვა“ (ბრაუზერით).


გაყიდვები და გადახდები





- **„გაყიდვების შეჯამება“**: 1 „წმინდა გაყიდვა“, ჩეკები, საშუალო ჩეკი, სტუმრები, მოგება; 2 გრაფიკი; 3 არხები (POS, QR მაგიდიდან, QR ოთახიდან).
- **„გადახდები“**: 4 მეთოდების მიხედვით; „ჩეკები“ — ნომერზე დაჭერით 5 იხსნება ჩეკი. დახურულ ჩეკზე:
  - „რედაქტირება“ — გადახდის მეთოდის შეცვლა (თანხა არ იცვლება);
  - „დაბრუნება“ 6 — „თანხა (₾)“, „მიზეზი“ → „დაბრუნება“ (შემოსავალს დაბრუნების დღეს აკლდება, საწყობს არ ეხება);
  - „წაშლა“ 7 — მიზეზით; ჩეკი ყველა რეპორტში 0 ხდება, ინგრედიენტები დანაკარგად იწერება. **შეუქცევადია.** თანხის დასაბრუნებლად გამოიყენე „დაბრუნება“, არა „წაშლა“.
- **„მიმტანების მიხედვით“**: გაყიდვა, ჩეკები, სტუმრები, VOID-ები თითო მიმტანზე.
- **„QR შეკვეთები“**: რამდენი გამოიგზავნა, მიიღეს, უარყვეს, გაუქმდა და მიმტანის პასუხის დრო.

მოგება და ხარჯები



1 მოგება-ზარალი: გაყიდვა, დაბრუნებები, თვითღირებულება, დანაკარგი, ხარჯები, წმინდა მოგება. 2 „ხარჯის დამატება“: „თარიღი“, „კატეგორია“ (მაგ. ქირა), „თანხა (₾)“, „შენიშვნა“ → „შენახვა“. 3 შენიშვნა გეუბნება, რამდენ გაყიდულ კერძს არ აქვს რეცეპტი (მაშინ მოგება მეტად ჩანს).

> **მნიშვნელოვანია**
> პროდუქტის შესყიდვები აქ **არ** ჩაწერო: ისინი „საწყობი → შესყიდვები“-შია, თორემ ორჯერ ჩაითვლება.

თავი 13

SQR ანგარიში

„SQR ანგარიში“-ში ჩანს „მომსახურების სტატუსი“ (მაგ. „აქტიური“, „მოქმედებს: ...“), „მიმდინარე ინვოისი“ (გადასახდელი თანხა და ვადა) და „გადახდებისა და ინვოისების ისტორია“. პირობებზე და გადახდაზე დაგვიკავშირდი.

როლები ერთ ცხრილში

როლს თანამშრომელს „პერსონალი“-ში ანიჭებ (თავი 6). უფლებები როლით განისაზღვრება: ღილაკი, რომელიც როლს არ ეკუთვნის, POS-ში ნაცრისფერია (გათიშული).

მოქმედება POS-ში	მიმტანი	მოლარე	მენეჯერი
ჩეკის გახსნა, **SEND ORDER**, „სტუმრები“	✓	✓	✓
გადახდის მიღება (**PAY**) საკუთარ ჩეკზე	✓	✓	✓
სხვა მიმტანის ჩეკის გადახდის მიღება	—	✓	✓
„მაგიდის გადატანა“ (გადატანა და გაერთიანება)	—	✓	✓
„ჩეკის გაყოფა“	—	✓	✓
გაგზავნილის გაუქმება (**VOID**)	—	—	✓
„ფასდაკლება“	მენეჯერის PIN-ით	მენეჯერის PIN-ით	✓ (საკუთარი PIN-ით)
„მიმტანის შეცვლა“ ჩეკზე	—	—	✓
სტუმრის QR შეკვეთის გახსნა და **SEND ORDER**	✓	✓	✓

პანელი (`manager.sqr.ge`): შედის ანგარიშის მფლობელი ელფოსტითა და პაროლით. მფლობელს ყველაფერი შეუძლია, მათ შორის „რეპორტები“ და POS-ის „კოდის მიღება“.

ჩეკის მიმტანი: ჩეკი ეკუთვნის მას, ვინც გახსნა („ამ ჩეკს ემსახურება ...“). სასტუმროს ოთახის ღია ჩეკზე კერძის დამატება ნებისმიერ მიმტანს შეუძლია.

ხშირი შეცდომები

ყველა შეცდომა სისტემის რეალური ქცევაა. მარჯვენა სვეტში წერია, რომელ თავში არის დეტალები.

ანგარიში, მენიუ და QR

რა მოხდა	რატომ	რა ვქნა	თავი
SMS კოდი არ მოვიდა	ნომერი არ არის ქართული მობილური, ან ჯერ 60 წამი არ გასულა	შეამოწმე ნომერი; „კოდის ხელახლა გაგზავნა“	1
ძველი პაროლი აღარ მუშაობს	მოითხოვე „დაგავიწყდათ პაროლი?“	შედი წერილში მოსული დროებითი პაროლით	1
QR მენიუში ენა ვერ ირჩევა	„Guest App-ის ენები“-ში ენები არ არის მონიშნული	მონიშნე ენები და ძირითადი ენა	2
პროდუქტი QR მენიუში არ ჩანს	კატეგორია არ აქვს, ან „სტატუსი“ გათიშულია	აირჩიე კატეგორია, ჩართე გადამრთველი	3
პროდუქტი POS-შიც არ ჩანს	„სტატუსი“ გათიშულია	ჩართე სიაში	3
ფოტო არ იტვირთება	პროდუქტის ფოტო 2 MB-ზე დიდია (ობიექტის ფოტო — 8 MB, ლოგო — 5 MB)	შეამცირე ზომა	1, 2, 3
საერთო QR-ით სტუმარი შეკვეთას ვერ აგზავნის	საერთო QR მხოლოდ მენიუს ათვალიერებს	დაბეჭდე თითო მაგიდის QR	4, 5

მაგიდები, პერსონალი, POS

რა მოხდა	რატომ	რა ვქნა	თავი
მაგიდა არ დაემატა	მრგვალ/კვადრატულ მაგიდას „სიგანე“ და „სიმაღლე“ სხვადასხვა აქვს	გაუტოლე რიცხვები	5
POS-ში ძველი განლაგება ჩანს	„განლაგების შენახვა“ არ დაუჭერიათ	შეინახე	5
დაბეჭდილი მაგიდის QR აღარ მუშაობს	დააჭირეს „QR-ის განახლება“	დაბეჭდე ახალი	5
PIN არ ინახება	ეს PIN ამ ობიექტში სხვას აქვს	აირჩიე სხვა PIN	6
თანამშრომელი POS-ში ვერ შედის	PIN არასწორია ან თანამშრომელი გათიშულია	შეამოწმე „პერსონალი“-ში	6
„ცდების ლიმიტი ამოიწურა. სცადე 1 წუთში.“	მოკლე დროში ბევრი PIN-ის ცდა	დაელოდე და სცადე ხელახლა	8
„კოდის მიღება შეუძლია მხოლოდ მფლობელს ან მენეჯერს“	POS-ის კოდს სხვა ითხოვს	მფლობელმა ან მენეჯერმა მიიღოს	7
„კოდს ვადა გაუვიდა. მიიღეთ ახალი.“	10 წუთი გავიდა	„ახალი კოდი“	7
POS ითხოვს ელფოსტას და პაროლს	მოწყობილობა დაკავშირებული არ არის	დააკავშირე კოდით	7
კერძი ჩეკში არ ჩაიწერა	**SEND ORDER** არ დაუჭერიათ	დააჭირე **SEND ORDER**	8
„ამ ჩეკს ემსახურება ...“	ჩეკი სხვა მიმტანისაა	იმუშაოს მისმა მიმტანმა ან მენეჯერმა	8
ღილაკი ნაცრისფერია	როლს ეს მოქმედება არ აქვს	მიმართე მოლარეს ან მენეჯერს	6, 8
გაყოფა ან გაერთიანება არ გამოდის	ჩეკზე ფასდაკლებაა, ან რეცეპტიანი კერძის ნაწილს ყოფ	ჯერ მოხსენი ფასდაკლება; კერძი გადაიტანე სრული რაოდენობით	8

სტუმრის შეკვეთა

რა მოხდა	რატომ	რა ვქნა	თავი
სტუმარი შეკვეთას ვერ აგზავნის	ფუნქცია გამორთულია, ან მაგიდაზე საერთო QR დევს	ჩართე „სტუმრის შეკვეთები“-ში; დადე მაგიდის QR	9
მიმტანი ახალ შეკვეთას ვერ ამჩნევს	POS-ში ხმა გამორთულია	„ხმის ჩართვა“	9
ოთახის QR-ით: „შეკვეთები დროებით არ მიიღება — დაუძახეთ მიმტანს“	„ოთახებიდან შეკვეთის მიღება“ გამორთულია	მონიშნე და შეინახე	9

საწყობი, რეცეპტები, რეპორტები

რა მოხდა	რატომ	რა ვქნა	თავი
მიღებაში საწყობს ვერ ირჩევ	საწყობი არ არის შექმნილი	შექმენი „საწყობები“-ში	10
ნაშთი არ გაიზარდა	მიღება მონახაზადაა	„მარაგში გატარება“	10
თვითღირებულება 0 ან არასრულია	ინგრედიენტს მიღება (ფასი) არ ჰქონია	გააკეთე მიღება ფასით	10, 11
საბაზო ერთეული არასწორია	შექმნის შემდეგ აღარ იცვლება	ახალი პოზიცია, ძველი — „გათიშული“	10
აღწერის შემდეგ მარაგი 0 გახდა	დაუთვლელ პოზიციაზე 0 ჩაიწერა	ცარიელი = არ დათვლილა; 0 = ნული	10
გაყიდვისას მარაგი არ მცირდება	კერძს რეცეპტი არ აქვს	შეავსე რეცეპტი და „ჩამოწერის საწყობი“	11
მოგება ძალიან დიდი ჩანს	ზოგ კერძს რეცეპტი არ აქვს	დაამატე რეცეპტი	11, 12
შესყიდვა ორჯერ ითვლება	ჩაიწერა ხარჯადაც და მიღებადაც	შესყიდვები მხოლოდ „შესყიდვები“-ში	12
ღია ჩეკი რეპორტში არ ჩანს	გაყიდვა ჩეკის დახურვისას ითვლება	დახურე ჩეკი (**PAY**)	12
სტუმარს თანხა დაუბრუნე, მაგრამ ჩეკი წაშალე	„წაშლა“ ჩეკს ყველა რეპორტში 0-ს ხდის	თანხის დაბრუნებისთვის გამოიყენე „დაბრუნება“	12

ტერმინების ლექსიკონი

ტერმინი	მნიშვნელობა
POS	მიმტანის და მოლარის პროგრამა: ჩეკები, შეკვეთები, გადახდები
QR მენიუ / Guest App	მენიუ სტუმრის ტელეფონში, იხსნება QR კოდით
ჩეკი	ერთი მაგიდის (ან ოთახის) ანგარიში POS-ში
SEND ORDER	„ახალი პროდუქტები“ ჩეკში იწერება
PAY	გადახდის მიღება
VOID	გაგზავნილი კერძის გაუქმება მიზეზით
PIN	4-ციფრიანი პირადი კოდი POS-ში შესასვლელად
როლი	მიმტანი, მოლარე ან მენეჯერი: რა შეუძლია POS-ში
მოწყობილობის დაკავშირება	ტაბლეტის ერთჯერადი მიბმა ობიექტზე 6-ციფრიანი კოდით
საბაზო ერთეული	ერთეული, რითაც ინგრედიენტი ითვლება (კგ, ლ, ცალი); არ იცვლება
მიღება / მონახაზი / მარაგში გატარება	ზედნადების ჩაწერა / შენახული, მაგრამ ჯერ არ ასახული / დადასტურება: ნაშთი იზრდება, ფასი ახლდება
ნაშთი	რამდენი გაქვს ახლა მარაგში
აღწერა (ინვენტარიზაცია)	ფაქტობრივი რაოდენობის დათვლა და პროგრამის ნაშთთან შედარება
ჩამოწერა	გაფუჭებული ან ვადაგასული პროდუქციის მარაგიდან მოკლება
რეცეპტი / გამოსავალი	რა შედის პორციაში / რამდენ პორციას იძლევა რეცეპტი
ნახევარფაბრიკატი	მზა ნაწილი (სოუსი, ცომი) რამდენიმე კერძისთვის
თვითღირებულება	კერძის ინგრედიენტების ღირებულება საშუალო შესყიდვის ფასით
წმინდა გაყიდვა / მარჟა	გაყიდვა ფასდაკლების შემდეგ / მოგების წილი პროცენტებში
CSV	ცხრილის ფაილი Excel-ისთვის ან Google Sheets-ისთვის

ხშირი კითხვები

სტუმარს აპლიკაცია სჭირდება? არა: QR-ის დასკანერებისას მენიუ ბრაუზერში იხსნება.

რა სჭირდება POS-ს? ტაბლეტი, კომპიუტერი ან ტელეფონი ბრაუზერით და ინტერნეტით (თავი 7). თითო მოწყობილობა ცალკე კოდით უკავშირდება.

კერძი ამოიწურა. წავშალო? არა: პროდუქტების სიაში გათიშე „სტატუსი“. ისტორია შენარჩუნდება.

სტუმარს შეუძლია ტელეფონით გადახდა? არა. სტუმარი მხოლოდ უკვეთავს (თუ სტუმრის შეკვეთა ჩართულია); გადახდა ადგილზეა, POS-ში. „ბანკი“ და „ონლაინ“ მხოლოდ გადახდის მეთოდის აღრიცხვაა.

სტუმრის შეკვეთა პირდაპირ სამზარეულოში მიდის? არა: ჯერ მიმტანი ადასტურებს (**SEND ORDER**) და სამზარეულოს თვითონ გადასცემს.

თანამშრომელს PIN დაავიწყდა / ტაბლეტი დავკარგეთ. „პერსონალი“ → „PIN-ის ნახვა“ ან „PIN-ის შეცვლა“ / „POS მოწყობილობები“ → „გათიშვა“.

ჩეკი არასწორი მეთოდით დაიხურა. „რეპორტები → გადახდები“ → ჩეკზე „რედაქტირება“; თანხის დასაბრუნებლად „დაბრუნება“.

ჩვენი მონაცემები სხვა ობიექტს ჩანს? არა: თითო ობიექტის მონაცემები ცალკეა.

სხვა კითხვაზე დაგვიკავშირდი (ბოლო გვერდი).

კონტაქტი

კითხვა გაქვს ან რამე ვერ გააკეთე? დაგვიკავშირდი:

ელფოსტა	info@sqr.ge
ტელეფონი	+995 592 45 75 02
WhatsApp	+995 592 45 75 02
საიტი	sqr.ge
სამართავი პანელი	manager.sqr.ge

მოგვწერე ობიექტის დასახელება და მოკლედ, რა ხდება. თუ შეიძლება, ეკრანის სურათიც გამოგვიგზავნე.

ვერსია 1.0 · ნოემბერი 2026